**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 138 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 138

**წლ'ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევადე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.


ვიღებ საეკლესიო **პანკელეჰის სამხატვრო საქმეებს**. ძსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს. (15—12)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური·

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

**ისყიდება**

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.** (5—5).

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3 - 6.—3)

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

ა. ნ. **დიასამიძე.** 11—12 საათ.

ა. ტ. **მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ი. **ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. **მოჩინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. **გედევნიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი მ. ქ· **იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. **ხოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. გეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ურდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჭაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ამეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა: ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**სადამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**მ. ს.ე ლმი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზრერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ვლადივოსტოკის ესკადრის თარეშობა იაპონიის ზღვაზე.—ვაფანგოუს ბრძოლის მსხვერპლნი.—ჯარის მოძრაობა ომის ველზე.—ჩიხელი მზვერავნი. —ინგლისელები იაპონელთა გემებზე.

ადმირალ კამიმურას ესკადრას დავალებული აქვს სატრანსპორტო გემები აცილოს იაპონიის კუნძულებიდგან კორეის ნაპირამდე და ამასთანავე უდარაჯოს, რომ ვლადივოსტოკის ესკადრა კორეის ყურეში არ გასხლტეს პორტ-არტურისაკენ. მას შემდეგ, რაც კონრტ-ადმირალმა იესენმა იაპონიის ზღვაზედ რამდენიმე გემი დაჰლუპა, კამიმურას ესკადრა გენზანთან ბინადრობდა და ბოლოს დროს კორეის ყურეში გადასულა, რომ თან უდარაჯოს კიდეც ვლადივოსტოკის ესკადრას და, თუ საჭიროება მოითხოვს, ადმირალ ტოგოს ესკადრასაც შეეშველოს. კამიმურას ესკადრას ქვა·ნახშირი სასებოდგან მიაქვს და ამისათვის ორ-კვირაში ერთხელ იქით უნდა შეიაროს.

სწორედ იმ დროს, როდესაც ესკადრა სასებოში ყოფილა, ვლადივოსტოკის ესკადრა ვიცე-ადმირალ ბეზობრაზოვის უფროსობით კორეის ყურეში გაჩენილა, ორ კუნძულ შუა (ცუსიმა და კიუშიუ). ვიდრე კამიმურა სასებოდგან გვიდოდა, ვლადივოსტოკის ესკადრა ჩრდილოეთისკენ წასულა. თუმცა იაპონელებს შეუნიშნავთ ეს ესკადრა, მაგრამ შემდეგ ბურუსი აჰფარებია. კამიმურა გაედევნა. რუსეთის ესკადრამ გაუხვ-გამოუხვია და იმის მაგივრად, რომ პირდაპირ ვლადივოსტოკისკენ წასულიყო, იაპონიის კუნძულებისკენ გადასულა. კამიმურას ესკადრა ადრე მივიდა თურმე ვლადივოსტოკს და უნდოდა აღარ შეეშვა რუსის ესკადრა ვლადივოსტოკის ნავთსადგურში, მაგრამ რუსის ესკადრამ შეიგვიანა და კამიმურას კი მოცდა აღარ შეეძლო, რადგან ქვანახშირი შემოაკლდა. ამ ესკადრას ორის კვირის სამყოფი ქვა-ნახშირი შეუძლიან წაიღოს, ხოლო, რაკი სასებოდგან ერთბაშად გასდევნებია რუსის ესკადრას, შესაძლოა ერთი კვირის სამყოფი ქვა ნახშირი არა ჰქონდა. ამიტომ კამიმურა ძალა-უნებურად უკან დაბრუნდა. ვლადივოსტოკის ესკადრა კი სახალინს აუვლიდა, ქვა-ნახშირს იშოვიდა და შინ მშვიდობით დაბრუნებოდა. სწორედ შემთხვევით გადარჩენილა ვლადივოსტოკის ესკადრა, თორემ, კამიმურა თავის ბინაზე რომ დახვედროდა, შეტაკება მოუხდებოდა იაპონიის ესკადრასთან. ზღვაზე ხშირად ის იმარჯვებს, ვისაც მეტი ქვა-ნახშირი აქვს,— ამბობს «რუს. ვედ.»-ის თანამშრომელი ვ. მ.—,როგორც კამიმურას მოქმედებაც გვიმტკიცებსო.

—

ვლადივოსტოკიდან იწერებიან: კორეის ყურეში დალუპულ «ხიტაჩიმარუ» ზედ მთელი პოლკი ყოფილა ქვეითის ჯარისა და გენერალი მთავარ-შტაბით. პოლკი მე-10 დივიზიას ეკუთვნოდაო. «სადომარუ»-ზე სახელდახელო ხიდების მოწყობილობა იყო და ხაზინა, რომელშიაც 2000,000 ოქროს იენი ითვლებოდა. როდესაც რუსების ესკადრა დასცემია, ოქროთი სავსე ყუთები იაპონელებს ზღვაში გადუყრიათ. გადუყრიათ აგრეთვე ქაღალდები, რუკები და სხვა. ამავე გემს მიჰქონდა რკინის გზის მასალა სეულ-იჯუს ლიანდაგისათვის. ამ გემების უფროსებად ინგლისელები ყოფილან. იმათ არა სჯეროდათ, როდესაც რუსების გემები დაინახეს, და იაპონელებისა ეგონათ. იაპონელებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსის ესკადრა ვერ გაბედავდა კორეის ყურეში შესვლას, და ამიტომ არხეინად იყვნენ. სწორედ ამ დაუდევრობამ დალუპა იაპონელების გემები. (ნოვ. ვრ.).

—

გაზეთ «ტემპის» სამხედრო მიმომხილველი ამბობს, იაპონიის კუნძულების დასაცველად მეორე ხარისხის გემები დაუყენებიათ, რომელთაც არ შეუძლიანთ წინააღმდეგობა გაუწიონ იმისთანა სამხედრო გემებს, როგორიც არის «გრომობოი», «როსსია» და «რიურიკი». მეორეს მხრივ ადმირალ კამიმურას ჯავშნიანი კრეისერები ადმირალ ტოგოსაცა სჭირდება, რადგან უიმისოდ პორტ-არტურს ალყა არ შემოერტყმის. ამიტომ ადმირალ სკრიდლოვს თამამად შეუძლიან კვალად შიშის ზარი დასცეს იაპონელებს. იაპონელების სავაჭრო გემებს აღარ შეეძლებათ იაპონიის ზღვაზე სიარული, თუმცა ეს მათთვის აუცილებლად საჭიროა, რადგან სურსათი სავაჭრო გემებს გადააქვთ. რუსეთის ფლოტს შეუძლიან ეკონომიურად შეავიწროვოს იაპონია. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან «სავაჭრო სააგენტო» იუწყება, ვაფინგოუს ომის შემდეგ 4 ივნისს საღამომდე, როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, იაპონელებს დაუმარხავთ ბრძოლის ველზე 1,516 რუსის ჯარის კაცი და კიდევ ყოფილა დასამარხი.

იაპონელები თავის გამარჯვებას იმას აწერენ, რომ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო მთლად იმ ჯარმა, რაც კი იმ დროს ვაფანგოუსთან იყო; ყოველი რაზმი წინათვე გამორკვეულ მოვალეობას ასრულებდა და არც ერთი ჯარის კაცი უსაქმოდ არ დარჩენილა (რ. ვ.).

—

ინგლისელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ რუსის ჯარი თანდათან გროვდება ლიაოდუნის ჩრდილოეთად, გენერალ კუროკის ლაშქრის მახლობლად. ჰფიქრობენ, რუსებს განუზრახავთ გააცალკევონ იაპონელთა ლაშქრები და პირველად ოქუს ლაშქარს დაეცნენო (რ. ვ.).

—

გენერალ კუროკის ლაშქარს გაუგია, რომ რუსებს 5,000—6,000 ჯარის კაცით ცაომკი აუღიათ, რომელიც სიუიანიდგან ჩრდილოეთისკენ არის. დაშიჩაოშიაც რუსებს მრავალი ჯარი ჰყავთო (იქვე).

—

ფინ-ხუან-ჩენიდგან «დეილი ქრონ» ს ატყობინებენ, რუსების ჯარი ლიაოიანიდგან მიდის სამხრეთისკენ და ხაიჩენთან გროვდებაო. რუსები ისე თამამად მიდიან, რომ საფიქრებელია, იაპონელთა მეორე ლაშქარი გააცალკევონ. ამასთანავე რუსები პირველ ლაშქარსაც უახლოვდებიან მარჯვენა მხარეს. მალე დიდი ომი უნდა მოხდესო.

ტოკიოდგან იწერებიან, გაიჯოუსთან ბრძოლა დაიწყო. იქიდგან რუსები რკინის გზით გზავნიან დაჭრილებს ჩრდილოეთისკენ. მტკიცდება, რომ ვაფანგოუს ბრძოლის დროს ჩინელები ანიშნებდნენ იაპონელებს, რა ადგილს აქვთ რუსებს ზარბაზნები. (ბ. ვ.).

—

ლონდონის გაზეთები იუწყებიან ოფიციალურ წყაროებიდგან, ვითომც რუსებს ომის დაწყებიდან აქამომდე 7,767 ჯარის კაცი მოჰკლებიათ, მოკლული და დაჭრილი, ვაფანგოუს მსხვერპლნიც რომ ჩავთვალოთ, ხოლო იაპონელებს—7,442 კაცი, გარდა სატრანსპორტო გემებზე დალუპულებისა (რ. ვ.).

—

ბერლინის სამხედრო გაზეთების ანგარიშით, იაპონელებს ამ ჟამად უნდა ჰყავდეთ ომის ველზე 220,000 მეომარი. გენერალ კუროკის ლაშქარში მე-2, მე-12 და გვარდიის დივიზია არისო; გენერალ ოქუს ლაშქარში — 1, 3 და მეოთხე დივიზიაა; გენერალ ნოძუს ლაშქარში—მე-9 6 და მე-10 დივიზია. მეოთხე ლაშქარში მე-7, 5 და მე-11 დივიზია. მე-6 და მე-7 დივიზია ჯერ გზაშია, ხოლო ამბობენ მე-6 დივიზიის ნაწილი დაგუშანს გადავიდა და მესამე ლაშქარს შეუერთდაო.

«დეილი ქრონ» ს ატყობინებენ დეპეშით იაპონელთა მეორე ლაშქარი ხაიჩენზე მიდის, სადაც რუსები არიან გამაგრებულნიო. რუსები დიდძალ ჯარსა და არტილერიას ჰგზავნიან პირველ ლაშქრის წინააღმდეგ და იმედი აქვთ, რომ ამ ლაშქარს გააცალკევებენ. შეტაკება მალე მოუხდებათო. საიმაძში რუსებს 6,000 კაცი ჰყავთ არტილერიით. გენერალ შტაკელბერგის ჯარს იაპონელებმა ორი რაზმი დაადევნეს, ხოლო ვერ დაეწივნენ. მესამე დასს-კი შეტაკება ჰქონია სიუანიდგან დასავლეთისკენ. ეს რაზმები გენერალ ნოძუს ლაშქარს ეკუთვნიან (ბირჟ. ვედ.).

—

ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ, გენერალ ოქუს ლაშქარს, რომელსაც გენერალ კუროკის ერთი დივიზია შეუერთდა, ჩრდილოეთისკენ მიდისო. ამ ლაშქარში 70,000 მეომარიაო.

პორტ-არტურთან იაპონელებს კიდევ გადუყვანიათ ჯარი, ასე რომ 90,000 კაცი შეუგროვებიათ. ამ ჯარის უფროსად გენერალი ნოძუ არისო (ნ. ვ.).

—

მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, ოთხი თვის განმავლობაში, იაპონიის მხედრობის მოქმედება თითქმის სრულად არა სჩანს და არ იგზავნება არც დასაზვერად და არც მოწინააღმდეგის მოსატყუებლად ანუ თვალის ასახვევად,—ამბობს „რუსკ. ინვალიდი“. აქამომდე იაპონელები ხელმძღვანელობენ სტრატეგიითა და ტაქტიკით და ისე მიდიან წინ, თითქო არც მტრის დათვალიერება და არც მის მოძრაობის გაგება სრულიად საჭირო არ იყოს. ამისი მიზეზი თურმე ის არის, რომ ყოველ საჭირო ცნობებს ჩინელები უგროვებენ. ჩვენის ჯარის მოძრაობა, მისი რაოდენობა და ძალა იაპონელებმა სულ ჩინელებისგან იციან, რომლებიც, ამას გარდა, ყოველ კერძო შეტაკების დროს ჩვენს მტერს ატყობინებენ და ანიშნებენ, სად არის ჩვენი ჯარი დაბანაკებული, საით უფრო მეტი ძალაა და საით ნაკლები. ეს ცხადად დამტკიცდა უკანასკნელ ომის დროს ვაფანგოუსთან. იაპონელებმა ისიც კი გაიგეს, სად იყო ჩვენი ჯარი დამალული და იმ ადგილს დაუშინეს ზარბაზნები. იმათ იცოდნენ, რადროს და რაგვარად იცვლიდა ჩვენი ჯარი ბინას, საით მიდიოდა და საერთოდ, რა ცვლილება ხდებოდა. 1 ივნისს ომი ისე დაიწყო, რომ იაპონელებს ერთი რაზმიც კი არ გამოუგზავნიათ დასაზვერავად. მეორე დღეს იაპონელთა ჯარის მოქმედებას ეტყობოდა, რომ ზედ-მიწევნით უნდა სცოდნოდა, რაც ცვლილება მოხდა იმ ღამეს რუსის ბანაკში. ეს ცნობები მზვერავ რაზმებს არ შეუკრებიათ. როგორც უნდა გათავებულიყო 1 ივნისს ბრძოლა, მტერი მაინც ვერ მიხვდებოდა, რა გარემოებაში იყო რუსის ჯარი, რას გადასწყვეტდა და რა გზას დაადგებოდა მეორე დღეს.

—

ინგლისელებს დაარსებული ჰქონდათ იაპონიაში სავაჭრო კომპანია, რომელსაც 66 გემი აქვს. ამ გემების კაპიტნები და მექანიკები ინგლისელები არიან. როდესაც ომი დაიწყო, ეს გემები იაპონიამ დაიქირავა ჯარისა და სამხედრო მასალის გადასაზიდავად. ინგლისელები შერჩნენ ამ გემებს და იაპონიის სამსახურში ითვლებიან, თუმცა იაპონიამ ომის დაწყების დროს გამოაცხადა, რომ უცხოელების სამსახური ჩვენთვის საჭირო არ არისო. მართალია იაპონიას შეუძლიან თავისი სიტყვა შესცვალოს, მაგრამ რატომ ის 66 ინგლისელი კაპიტანი და მექანიკები არ ერი-

დებიან თავის მეფის ურჩობას, რომელმაც ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. იმედიაო, ამბობს «ნოვ. ვრ»-ს ლონდონელი კორესპონდენტი, ინგლისის მეფე მიაქცევს ყურადღებას და კვალად ბრძანებას გასცემს, რომ არც ერთი ინგლისელი იაპონიის სამსახურში არ ირიცხებოდეს და ნეიტრალიტეტს არ არღვევდესო.

# ტფილისი

*** წარსულ შაბათს დასრულდა დროებით-ვალდებული გლეხთა მიერ ნადელების გამოსყიდვის საგნის განსახილველად დანიშნული საგანგებო ბჭობა. გუბერნატორები და თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი წავიდ-წამოვიდნენ.

*** შაბათს, 12 ივნისს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრის შენობაში კრება ჰქონდა ტფილისის სიფხიზლის საზოგადოებას. კრებას 20 წევრი დაესწრო. უმთავრესი კამათი გამოიწვია იმ საკითხის გადაწყვეტამ, საოპერო წარმოდგენები გამორიცხულ იქმნენ თუ არა სიფხიზლის საზოგადოების მოქმედების პროგრამიდანაო. ხმის უმეტესობით გადასწყდა საოპერო წარმოდგენები კვლავ იმართებოდეს. დასასრულ არჩეულ იქმნენ საზოგადოების კომიტეტის ოთხი წევრი: ნ. ზ. ელიავა, თავ. ა. ნ. დიასამიძე, ლ. მღებროვი და მუსხელაშვილი.

*** სურამში წელს სააგარაკოდ მრავლად წასულა ხალხი. წელს ზაფხულს იქ ოთხი პოლკი იდგება. სახლების ფასი წინა წლების შედარებით პატარაა.

*** იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის საყასბოს ახალ შენობის აგება, მოიწონა ინჟინერ საგსაგანსკის პროექტი. ამ პროექტით საყასბოს შენობის აგება დაჯდება 456,000 მან.

*** პარასკევს, 18 ივნისს, ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მოსწავლენი სასწავლებლის ზედამხედველთან ერთად მიემგზავრებიან ყარსში იქაურ შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად. ექსკურსანტები ტფილისში 20 ივნისს დაბრუნდებიან.

*** ტფილისის ქალაქის ექიმი ამ დღეებში დაათვალიერებს ტფილისში ყველა იმ სადგომებს, სადაც ფქვილსა ჰყიდიან. ზოგიერთი სადგომები უკვე დათვალიერებულ იქმნა, სადაც აღმოჩნდა საეჭვო ფქვილი. ფქვილი გამოსაკვლევათ არის წაღებული ქიმიურ ლაბორატორიაში.

*** მომავალ წელს, ვარაუდით, ქალაქს მიწებიდან შემოსავალი ექმნება 72200 მანეთი.

*** ვლად. სარქმელია, რომელმაც ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოსთან არსებულ შემნახველ კასიდან ორას თუმნამდე გაიტაცა, ჯერაც ვერ იპოვეს. კასირს ბ-ნ ასლანოვს წინადადება მისცეს, ხუთ დღეში შემოიტანე მოტაცებული ფულიო.

*** ახალციხის მაზრის რამდენსამე სოფლებში საქონლის ჭირი გაჩენილა. სენის მოსასპობად ღონის-ძიებანია მიღებული.

*** წელს ტფილისის რეალური სასწავლებელი 42 მოსწავლემ დაასრულა. ქართველი ოთხია. 42 მოსწავლეთაგან ორი ჩარიცხულ იქმნა კავკასიის სტიპენდიანტებად.

*** ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს, შეაჩერეთ აღსრულებაში მოყვანა ქალაქის საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც შეეხება ხორცის ხარისხებად დაყოფას და ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის განკარგულებაში 25,000 მანეთის გადადებასაო.

*** რედაქციამ ახალი ქართული წიგნი მიიღო «ლექსები» ილია ჭავჭავაძისა გამოცემული წიგნის მაღაზიის «ცოდნა»-ს მიერ. წიგნში მოთავსებულია რჩეული ლექსები ცნობილ მგოსანისა. წინ დართული აქვს ავტორის სურათი. წიგნი სუფთად და კოხტად არის გამოცემული. ჰღირს სამ შაურად. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მდაბიო ხალხში ძალიან გავრცელდება.

*** რედაქციამ მიიღო ამავ წიგნის მაღაზიის გამოცემა — «რაშია ბედნიერება» სასე რაჭველისა. ეს წიგნი კოხტად არის გამოცემული, შეიცავს 64 გვერდს და ორ შაურად ღირს. ეს წიგნიც, როგორც პირველი, სახალხოა.

*** სომეხთა დრამატიულ საზოგადოებამ მიიღო შეწირულება 1,000 მანეთი. ფულის შემწირველმა არ ისურვა თავის ვინაობის გამოცხადება.

### შეცდომის გასწორება.

გუშინწინდელ აკაკის ფელეტონის ბოლო შეცდომით ჩვენებურ ამბების ბოლოში მოუქცევიათ, (უკანასკნელი 24 სტრიქონი) ხოლო ჩვენებურ ამბების ბოლო — ფელეტონისაში.

### † ნ. თ. დუბროვინი.

(ნეკროლოგი)

ტელეგრაფმა სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: ამა თიბათვის 12 პეტერბურგში გარდაცვლილა სამეცნიერო აკადემიის მუდმივი მდივანი ნიკოლოზ თეოდორეს ძე დუბროვინი.

განსვენებული რუსეთში ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო მცოდნე საზოგადოდ კავკასიის და კერძოდ საქართველოს წარსულის სამხედრო ისტორიისა.

იგი დაიბადა 1837 წ., განათლება მიიღო პოლოცკის კადეტთა კორპუსში, აზნაურთა პოლკში და არტილერიის აკადემიაში. სამსახური დაიწყო არტილერიის გვარდიაში. 1868 წ. მიუჩინეს უმთავრეს შტაბსა სამხედრო-ისტორიულ მასალათა შესამუშავებლად. 1882 წ დაინიშნა სამხედრო სამოსწავლო უმთავრესი შტაბის კომიტეტის წევრად, 1891 წ. საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ექსტრაორდინარის აკადემიკოსის ხარისხი მიეცა, ხოლო 1893 წ. მუდმივი მდივნობა იმავე აკადემიისა. ნ. თ. დუბროვინმა თავი იჩინა სამხედრო ასპარეზზედ 1859 წლიდგან, მისი წერილები იბეჭდებოდა «საარტილერიო ჟურნალში» და «განთიადში» (Разсвѣтъ) მოთხრობა «ჭკუა ქვეყნიერობისათვის». ამის შემდეგ განსვენებული შეუდგა სამხედრო ისტორიის შესწავლასა და ზედი-ზედ ჰბეჭდავდა სტატიებს: «სამხედრო კრებულში», რუსულ «მახარებელში», „ოტეჩესტვენნი“ ზაპისკებში და სხ. ჟურნალებში. ამ სტატიებიდგან ცალკე წიგნად დაიბეჭდა «საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XIII, და საქართველოს რუსეთთან შეერთება».

მისნი უმთავრესნი შრომანი არიან: «ისტორია რუსთა ომებისა და მფლობელობისა კავკასიაში» (1885—1888 წწ.) «ყირიმის ომის ისტორიის მასალები» (1871—1875 წ.წ.), «პუგაჩევი და მისი მხანაგები» (1884 წ.), «ყირიმის შერთება რუსეთთან» (1885—1889 წ.წ.), «1812 წლის ომი თანამედროვეთა წერილებთა მებრ», «ბიოგრაფია ნ. მ. პრჟევალსკისა» (1890 წ.) და სხვ.

განსვენებულმა დუბროვინმავე გამოსცა «პეტრე დიდის დროის უმართებულესის სენატის მოხსენებანი და განჩინებანი», «უმაღლესის საიდუმლო რჩევის პროტოკოლები, ჟურნალები და უქაზები 1726—1730 წ.წ.», მისის დიდებულების კანცლერის არხივიდგან ამოკრებილი ისტორიულ მასალათა კრებული». განსვენებულის დუბროვინის სამეცნიერო შრომათა მიმოხილვა დასწერა ა. კუნიკმა 1890 წ.

# ჩვენებური ამბები

**სოფ. გლდუისი** (დუშეთის მაზრა). აქ 16 კომლია. გარშემო 5—6 ვერსის მანძილზედ ახვევია ცამეტი პატარა ამისთანავე სოფელი, თვითო 1—13 კომლს არ აღემატება. სულ გლდუისის სამრევლოა. ეს სულ ქსნის ხეობაშია, ჰქვიან საკუთრად საფერშეთის ხეობა და ექვემდებარება ახალ-გორის სასოფლო საზოგადოებას, რომელიც დაშორებულია 20—22 ვერსით. იქ არის საფერშეთლებისთვისვე ბაზარი და სასოფლო სამოსამართლო. გარდა ქართველებისა, ამ სამრევლოში მრავლად არიან ოსები, რომელთაც, მეტადრე მამა კაცებს, კარგად ესმით ქართული. მკვიდრად არა აქვთ გამჯდარი აქაურს ოსებს ქრისტიანობა და ხშირად არღვევენ მართლ-მადიდებელ ეკლესიისაგან დაწესებულ რჯულს, მაგალითად: ჯვარ-დაუწერლად ქორწინება, ორ ცოლობა, ეკლესიაში უსიარულობა და მომეტებულად უზიარებლობა. სწამთ კვირია უქმე დღეები, აგრეთვე უქმობენ ყველა ორშაბათს და აქვთ კიდევ სხვა განსაკუთრებული უქმეებიც. ხშირად ამ უქმობაში იმართება წვრილ წვრილი ხატობა-დღესასწაულები, ზოგჯერ შესანიშნავიც საწირავ-ზვარაკლუდ-შანა-ხაჭაპურებით. ამ დროს კარგა თვალ-საჩინო ფული გროვდება, რომელიც ესრედ წოდებულ «დეკანოზი»-ს ხელშია და იმის მაგიერ, რომ ღვთისთვის შეწირული ფული კეთილ საქმეზედ მოიხმარონ, ჰამა სმაზედ ჰფლანგვენ და სხვანაირადაც ვერაგობენ. ღხინი თუ ქირის გარდახდა ოსებმა ბარაქიანად იციან და სასიამოვნო აქ ის არის, რომ ჩხუბი და კაცის კვლა იშვიათია, აგრეთვე ქურდობა, რაც სხვაგან გახშირებულია, ეს სამი წელიწადია ამათში ვარ, არა გაგონილარა და იქვე მეზობელ ქართველებში-კი ერთმანეთს ქათმებს აღარ არჩენენ. ამ წინაზედ სოფელ კორინთის დიაკვანს ცხენიც მოჰპარეს.

აქაური ოსები დარბაისელი ხალხია, მეზობელ ქართველებს არ ჩამორჩებიან და კარგადაც ცხოვრობენ. ქართველებს კარზედ არ მიადგებიან, თუ არ ღვინის სასყიდლად, რადგანაც აქ ვაზი არ ხეირობს. ისინი კი დღე მუდამ კარებზედ უდგანან ყელ გადაწვდილები ფულის სასესხებლად. რასაკვირველია უნაკლულო არავინ არის და ამათაც ბევრზედ ბევრი აკლიათ ყველაზედ უფრო სკოლა და მერე გზა, რომ ურემმა. იმუშაოს. თუმცა სასკოლო ფულს იხდიან, ახალ-გორში კარგ სკოლასაც აკეთებენ, მაგრამ ამათთვის სიშორის გამო გამოუსადეგარია. პატარა სამრევლო სკოლა კი უფრო ხელს მისცემდა და წინაც წასწევდა. რაც შეეხება გზას, იმედია, ადრე ველირსებით ქსნის ბოქაულის წყალობით, რომელმაც მოსვლის უმალვე დიდი ლაზათი დასდო უმთავრეს ქსნის ხეობის გზას, იქნება ფოსტა-ტელეგრაფიც გველირსოს, რასაც მოკლებულნი ვართ და ჩვენთვის კი ძალიან საჭიროა.

ზამთარი ძლიერ მშრალი იცის. ესეთი უთოვლობა მოხუცებულებს უკვირთ. სამაგიეროდ მარტი და აპრილი ნოტიო, თოვლჭყაპიანი იყო, ბალახი გვიან მოვიდა, ამას დაერთვა საქონლის საკვების სიძვირე. უჭმელობით გასუსტებულმა საქონელმა ძლივს გააზწია სული. ვნახოთ ახლა, ზაფხული რაღას მოგვიტანს.

ზ. ზარაჯოვი.

**ქ. თელავი.** არა მგონია სხვაგან სადმე ისეთის მოწიწებით და ფერობით მოპყრობა უნდოდეს ვისმე, როგორც აქაურ მეყასბეებს. მათს უწესო ქცევას საზღვარი არა აქვს. სამ-ოთხს კაცს ჩაუგდია ხელში ეს ვაჭრობა და, როგორც უნდათ, ისე ექცევიან თელავის მცხოვრებთ. ვითომ თელავის თვით-მმართველობაც ყურადღებას აქცევს: ხან ნიხრს უწესებს, ხან ხარისხებად ჰყოფს ხორცს, ხან ფას უწევ-უკლებს, მაგრამ ყასბებისთვის სულ ერთია, რაც უნდა დაწერონ, ნიხრის ქაღალდს სადღაც მიჰმალვენ და როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან. მავრამ ვინ რას იტყვის ფასის გადახდაზე, ნეტა ხეირიან საქონელს მაინც ჰხოცავდნენ. რაც და რამდენი გირვანქაც თითონა ჰნებავთ, იმდენს უწონვენ მყიდველს არ შეუძლიან არ წაიღოს. თუ გაბედა ვინმე და პროტესტი გამოუცხადა, მაშინ ხორცსაც ველარ მიირთმევს, მიბრძანდით და, საცა გნებავთ, იქ იყიდეთო, კიდევ მადლობელი უნდა იყოს, რომ შეურაცხებელი გამოვიდეს. თუ დაემუქრა ვინმე ბაზარნიკს ან პოლიციას მოვიყვანო, სიცილათ არ ეყოფათ. გადაჭარბებული არ გეგონოთ, ნამდვილს მოგახსენებთ.

თელავში 12,000 მცხოვრებია, $^3/_4$ მეტი ამათგანი გამომცხვარსა პურსა ჰყიდულობს და მეპურეების სინაბარად არიან. ამ ბოლო დროს მეპურეთა რიცხვმა იმატა, არამც თუ ბაზარში, ქუჩებშიაც კი გაალეს დუქნები — მომეტებული მათგანი რაჭის მაზრიდამ არიან. თელავის თვითმართველობამაც გაალო პურის საცხობი დუქანი. სახაბაზოს გახსნა 1902 წ. მეპურეთაგაფიცვამ გამოიწვია და ამას გარდა იმანაც, რომ ხშირად ძრიელ დაბალ და გამოუშრობელ პურსაც აცხობდნენ. დუქანი კი გახსნეს მაგრამ ეს სახაბაზო ვერც ერთ დანიშნულებას ვერ ასრულებს. მეპურეთა მდარე პურის ცხობა დაიწყეს და ქალაქის დუქანიც იმათ კვალს მისდევს. არც მეპურეთ აქცევენ ყურადღებას და არც ქალაქის დუქანში აცხობენ უკეთეს პურს. როდემდის უნდა განაგრძონ ასე? იქმნება ერთმანერთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ ფულს მოიგებსო?

### „ივერიის“ ფოსტა

**ძ-ს. თ. ხ-ს.** თქვენს სიტყვას ძრიელ დაუგვიანდა და ამიტომ ველარ დავბეჭდავთ. ეტიუდს ველით.

**დ. მეჩანწურეს.** თქვენი ლექსი «დუმილი» არ დაიბეჭდება.

**ტეზრელს.** თქვენი მოთხრობა «მე და ჩემი კაკარდა» არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ივნისი.

**მუკდენი.** 11 ივნისი (საკუთ. კორესპ.). იაპონელთა დიდ-ძალი ჯარი ამ ბოლო დროს თავს იყრის სენიუჩენს და სიუიანთან, მარჯვენა ფრთეს ბოლოში; ჯარები იალუსკენ მიდიან. 9 ივნისს ღამე 100-ზე მეტ კაცისაგან შემდგარი ხუნ-

# ფელეტონი

### ფიქრი და შენიშვნა.

(შემდეგი *)

II

რათა უკეთ მივხვდეთ, რაში იყო აქ საქმე, როგორ მსჯელობდა უმრავლესობა და უმცირესობა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების წარმატებაზე, შეიძლება, მთელ რუსეთის ნაცვლად, ერთი რომელიმე სოფელი წარმოვიდგინოთ და გავშინჯოთ, რა გვარი ცვლილება უნდა მომხდარიყო იმ პირველ და მეორე აზრის მიხედვით. სოფელში რამდენიმე ასი კომლია გლეხკაცობისა; მიწები და თვით ეს გლეხობაც ბატონისაა, რომელიც იქვე სოფელში სცხოვრობს. გადასწყდა, რომ ბატონყმობა უნდა გაუქმდეს, უმცირესობის აზრით, გლეხების განთავისუფლებასთან ერთად მიწებიც უნდა ჩამოერთვას მებატონეს და სასოფლო საზოგადოების კუთვნილება გახდეს. გარდა ამისა, სოფელს ესაჭიროება წარმოების გაძლიერება, შრომამ მეტი ნაყოფი უნდა მისცეს გლეხობას; ეს-კი შეიძლება სასოფლო მეურნეობის და შინაურ წარმოების ტეხნიკურ წარმატებით. იმას გარდა, რომ გლეხობა უსწავლებლობით და უცოდინარობით კარგად ვერ უვლის და ვერ ანაყოფიერებს საკმაოდ მიწას. ყოველ გლეხის ოჯახი თავის ხელით ჰქმნის შინაურულად თვის სახმარებელ ნივთებს: საცმელ თითონ ჰქსოვს სახლში, საოჯახო და სამეურნეო საგნებს და იარაღს თითონ აკეთებს; ყველა ამაში ბევრი შრომა და დრო ეხარჯება; ევროპაში-კი ამ სახმარ ნივთებს ქარხანასა და ფაბრიკებში აკეთებენ, რომლებშიც სხვა და სხვა მანქანების და საუკეთესო იარაღების საშუალებით ადამიანის შრომას მეტი გამოსავალი აქვს და ბევრად უკეთესიც. ამ რუსულ სოფელშიც საჭიროა ამისთანა მოწყობა სასოფლო შრომისა. სოფელში მიწა საზოგადო კუთვნილება უნდა იყოს, სოფელში გასახსნელი ქარხანაც მთელის სოფლის იქნება. ამ გვარად მიწა, ქარხანა და სხვა საწარმოვო იარაღი და საშუალება იქმნება იმის კუთვნილება, ვინცა შრომობს, ე. ი. გლეხკაცობისა. საერთო კუთვნილება და საერთო მოწესრიგებული შრომა, — აი ერთად ერთი სამართლიანი და მკვიდრი ნიადაგი, რომელიც მთელ სოფელს გააღონიერებს ეკონომიურად და წარმატებაში შეიყვანს, მთელ რუსეთის უმრავლესობას, გლეხკაცობის ყოფა-ცხოვრება ამ საძირკველზე უნდა აშენდეს; უიმისოდ, რაც გინდა შემოიღოთ ევროპიდამ, ყველა ფუჭი გამოდგება, და ამის განხორციელება, —შრომის და საკუთრების გასაზოგადოება,—მით უფრო ადვილია რუსეთში, მით უფრო შეეჩვევა მას გლეხკაცობა, რომ ბევრ გუბერნიებში მიწა ჯერაც საზოგადოების კუთვნილებაა და ბევრი ადათი და ჩვეულება გლეხკაცობისა ძლიერ ხელს უწყობს ამის შემოღებასაო.

ასეთი მოწყობა გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრებისა თავისათავად, რაღა თქმა უნდა, ძლიერ კარგი უნდა ყოფილიყო, როგორც სამართლიანი და გამძლეც, მაგრამ ამას მაინც წუნი დაედო და უარყოფილ იქმნა, როცა დაიწყეს მის ავკარგიანობის გარკვევა სახელმწიფოს უმთავრეს ინტერესების თვალით. უპირატესობა ისევ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ წარმოებას მიეცა. აი დაახლოვებით როგორა მჯელობდნენ ამ აზრის მომხრენი: სოფელში შრომა და საკუთრება საზოგადოებისა რომ გახდეს, მაშინ სასოფლო შრომის გამოსავალი ყოველწლივ თანაბრად განაწილდება ყველა სოფლელზე; დამყარდება თანასწორობა, ყველა უკეთ დაიწყებს ცხოვრებას; ეს იქმნება რუსულ „община“-ს მიხედვით. ევროპიულად კი სოფლის ეკონომიური ცხოვრება ასე უნდა მოეწყოს: ბატონყმობის გაუქმებით მიწის ერთი წილი უნდა ჩამოერთვას ბატონს გლეხებზე გასანაწილებლად, დანარჩენი მიწა კი, უდიდესი ნაწილი, ისევ იმას უნდა დარჩეს; ქარხანა და ფარიკის გახსნაც კერძო კაცის საქმე იქმნება და მისი კუთვნილება. მაშასადამე, გლეხ-კაცობის ერთი წილი იჯარით აიღებს ბატონის მიწებს, ზოგი კი ქარხანაში იმუშავებს ქირით. ამ გვარად მთელი სოფლის ნაშრომი განაწილდება,—ზოგი გლეხობას დარჩება, ზოგი კი მექარხნის და მემამულის ხელში გადავა. მთელის სოფლის ნაწარმოები, ნაოფლარი ყველაზე თანაბრად არ განაწილდება; ამ დაქუცმაცებას ზოგი წილი გადარჩება, მემამულეს და მექარხნეს ხელში მოგროვდება ყოველ-წლივ; გაჩნდება სიმდიდრე, რომელიც, ბაზარზე გამოტანილი, ფულად გარდაიქცევა.

მთელის რუსეთის წარმოება ასე ევროპიულად უნდა მოწესრიგდეს და ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ თანდათან მთელ სახელმწიფოში ნაწარმოების ერთი წილი გადარჩება ყველაზე განაწილებას, დაქუცმაცებას; ნაწარმობის ერთი წილი, ფულად გარდაქცეული, სიმდიდრედ მოგროვდება უმცირესობის ხელში,—გაჩნდება მილიონები.

ამ დიდის ფულის თვისება ისაა, რომ მოძრავია, სწრაფი და სწორედ ასეთი რამაა საჭირო ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის. მხოლოდ დიდ ფულს შეუძლიან სწრაფად აამუშაოს ქვეყნის სიმდიდრე, გაიყვანოს რკინის გზები, დაარსოს დიდი ქარხანა და ფაბრიკები, გააჩინოს სავაჭრო ხომალდები, მეტი საქმე გაუჩინოს გლეხ-კაცობას, უცხო ქვეყნებთან ვაჭრობაში შევიდეს, რუსეთი საერთაშორის ბაზარზე გამოიყვანოს და სხვ.

ესევე რასაკვირველია, შეუძლიან მეორე ფორმის წარმოებასაც, არა—კაპიტალისტურს, როდესაც შრომა და საკუთრება გასაზოგადოებულია; მაგრამ, თუ ამას ამის შექმნაში რამდენიმე ასი წელიწადი დასჭირდება (გლეხობამ თავის ნებით რა უნდა დაზოგოს და გადაარჩინოს?), კაპიტალისტურს, სამაგიეროთ, რამდენიმე ათი წელიწადიც ეყოფა, თუ მთავრობა დაეხმარა და ხელი შეუწყო ამას. სახელმწიფოს ესაჭიროება უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქვეყნის ეკონომიური წარმოება, რაც შეიძლება, მალე განვითარდეს და დაეწიოს ევროპიელთ წარმოებას; ამისთვის კი საჭიროა, რაც შეიძლება, მალე გაჩნდეს თავისუფალი სიმდიდრე, მოძრავი კაპიტალი, მილიონები. ამისათვის უნდა იზრუნოს მთავრობამ უპირველეს ყოვლისა და არა უმრავლესობის ნივთიერ გაღონიერებისათვის, რომელსაც თავისი ჯერი დაუდგება შემდეგშიო,—ასე სჯიდნენ მომხრენი კაპიტალისტურ ფორმის წარმოებისა.

როგორც ვხედავთ, ამ აზრის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აზრის სხვა და სხვაობა წარმოსდგა იქიდამ, რომ პირველებს მთელ სახელმწიფოს საგარეო ინტერესი ჰქონდათ გათვალისწინებული, მეორეებს-კი შინაურ ცხოვრების საჭიროება, რომელიც ითხოვდა შრომის და საკუთრების (საწარმოვო საშუალების) გასაზოგადოებას.

რუსეთის იმპერიას ევროპაში დიდ-სახელმწიფოს სახელი ჰქონდა, ერთაშორის პოლიტიკურ საკითხთა გადაჭრაში ხშირად უპირველესი მნიშვნელობა ეძლეოდა; ყირიმის ომმა კი ყველა ეს ჩამოართვა, სახელი გაუტეხა, დაამცირა და ისიც «აღმოსავლეთ საქმის» თაობაზე, რომელიც რუსეთის იმპერიისათვის საარსებო საქმე იყო, ისტორიული პრობლემა უპირველეს მნიშვნელობისა, მთავარი კვანძი მის საგარეო პოლიტიკისა თითქმის ორ საუკუნის განმავლობაში, რუსეთს ამაზე ხელი უნდა აეღო სამუდამოდ ევროპის ძალდატანებით, სამუდამოდ შეეჩერებინა თვისი მისწრაფება სამხრეთ ქვეყნებისაკენ,—ბალკანეთის, მცირე აზიისა და სპარსეთისკენ,—და დასჯერებოდა თვის ტერიტორიალურ დამწყვდეულობას.

*) იხ. «ივერია» № 136.

ხუზთა ბრბო დაეცა რკინის გზის ხიდს სადგურ გულუჩინში. ხიდის დარაჯებმა ორის ზარბაზნით გაჰფანტეს ხუნხუზები. ხიდი დაუზიანებელია. ხმებია, ბრბოს იაპონელები ხელმძღვანელობდნენ.

**ლიაოიანი**. მოსაზღვრე დარაჯთა რაზმის ჯარის კაცი ბაბინსკი, და კონდუქტორი ანდიუხინი, რომელნიც ერთად ფეხით მიდიოდნენ, ტყვედ ჩაუვარდნენ იაპონელებს. მიზეზი ჩინელების ღალატია. დატყვევებულთ მთელ დღეს ერთი დარაჯი ჰყარაულობდა. საღამოზე დარაჯს დაეძინა; დატყვევებულთ ბაწარი შემოიხსნეს, მოჰკლეს დარაჯი, გაიქცნენ, გაიარეს ფარულად იაპონელთა რაზმებით სავსე 30 ვერსის მანძილი და მიაღწიეს ჩვენ მოწინავე სადარაჯო რაზმებს.

**ლიაოიანი**. ჯარი განუწყვეტლივ მოდის. ჯარების სულიერი განწყობილება ჩინებულია. ხმებია, ექიმ ვლასევიჩის სისტემით საკონსერვოდ დამზადებულ ხორცს, რომელიც გამოცდის შემდეგ ძლიერ კარგი გამოდგა, მომქმედ არმიაში მიიღებენ.

**პეტერბურგი**. გენერალ სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 12 ივნისს: «10 ივნისს, დილიდან, იაპონელებმა განაგრძეს წინ სვლა. იმათი ჯარი გაიჯოუსკენ მოდიოდა. წინ სამ ჯგუფად მოდიოდა ცხენოსანი ჯარი; თითო ჯგუფი ოთხ-ხუთი ესკადრონი იყო. ცხენოსანთ მოსდევდნენ ქვეითა ჯარის წრეები; შორს მოსჩანდა სამრად დაწყობილი მომავალი რაზმები მტრისა. საღამოზე იაპონიის მოდარაჯე რაზმები მდინარე ხეს ხეობაზე გაიშალნენ, სუნ-ჯენის ჩრდილოეთით, 14 ვერსის მანძილზე. ამათ უკან ცხენოსანნი იდგნენ. მტრის მარცხენა ფრთეზე სოფელი მოძიატუნი დაიჭირა ქვეითა ჯარმა, რომელსაც ტყვიის მტყორცნელები ჰქონდა. მთელმა დღემ სროლაში ჩაიარა. დაიჭრა ერთი სალდათი მოსაზღვრე დარაჯთა რაზმი, კორნეტის ფონ-მაიერის უფროსობით, ერთ ადგილას ჩაესაფრა იაპონელთა ჩამოქვეითებულ ესკადრონს და მოულოდნელად ტყვია დაუშინა. ესკადრონი თვალსაჩინოდ დაზარალდა.. 11 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათამდე, მტერი წინ, გაიჩოუსკენ, აღარ წაწეულა. 8 ივნისს იაპონელები კხანზიდან დაიძრნენ. მიდიოდნენ სიუანიდან გაიჩოუში მიმავალ სამხრეთის გზით. 9 ივნისს იაპონელებმა დაიჭირეს სოფელი სიანდიაო, მაგრამ საღამოთი ჩვენის მოწინავე რაზმის მეოხებით ამ სოფლიდან წავიდნენ სიადიაოს სამხრეთ —აღმოსავლეთით (ამ სოფლიდან 3 ვერსის მანძილზე) მადიავაძში იაპონელებმა თავი მოუყარეს სამ ბატალიონს, ექვს ზარბაზანს და ოთხ ესკადრონს. 10 ივნისს, გათენებისას, იმათი რაზმი, ერთის ბატალიონისა, ორის ზარბაზნისა და ორის ესკადრონისაგან შემდგარი, მოულოდნელად თავს დაეცა ყაზახთა ერთ სოტნას, რომელიც სიანდიაოსთან იყო დაბანაკებული. სოტნა იძულებული გახდა, უკან დაწეულიყო. იაპონელებმა დაიჭირეს სიანდიაოს ჩრდილოეთით ეგრედ წოდებული შავი გორა, ხოლო აღმოსავლეთით, სიანდიაო-სიახტაინის გზაზე (სიახოტინის აღმოსავლეთით, ორ ვერსის მანძილზე) უღელტეხილი. პირველ სროლის ხმაზე ჩვენმა მოწინავე ჯარმა პოზიციები დაიჭირა სიმაღლეებზე სიახოტანთან. ოთხ სოტნას, რომელსაც ჰქონდა ოთხი სამთო ზარბაზანი, ებრძანა სიახოტანიდან უღელტეხილით სიანდიაოსკენ წასულიყო. ჩვენმა ჯარმა, არტილერიის მეოხებით, იაპონელები განდევნა პოზიციებიდან, ხოლო 11 საათზე, როდესაც მაშველი ჯარი მოვიდა, წინ გაემართა. არეულმა მტერმა უკან დაიხია. ნაშუადღევის პირველ საათზე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სოფელი სიანდიაო და იქიდან არტილერიამ სროლა დაუწყო იაპონელებს, რომელნიც ერლდაგოუსკენ იწევდნენ (მადიავანზას სამხრეთ-აღმოსავლეთით), ჩვენი ზარალი; დაგვიჭრეს ოთხი აფიცერი (ერთი გაკაწრულია); სალდათი მოგვიკლეს 7 და დაგვიჭრეს 14; ერთი უგზოუკვლოდ დაიკარგა. რაზმის უფროსი დიდის ქებით იხსენიებს ჩვენ არტილერიის მოქმედებას. 10 ივნისს ყაზახები ლიაოდიახესთან (სელიუჩანის ჩრდილოეთით, შვიდი ვერსის მანძილზე, დიდ გზაზე, რომელიც ფინხუანჩენიდან ლიაოიანში მიდის) ჩაესაფრნენ იაპონიის რაზმს, რომელსაც მოუკლეს და დაუჭრეს 15 კაცი. ჩვენის მხრივ დაიჭრა ხორუნჟი პოლზოვი. 9 ივნისს, დილის 11 საათზე, ჩვენმა რაზმმა აიანიამინის აღმოსავლეთით, საიმაძ კუანდანსიანის გზაზე, სროლა დაუწყო მტრის მოწინავე რაზმებს. შუადღისას ჩვენი რაზმი წინ გაემართა და მიესია მტრის მემარჯვენე ფთრეს, რომელიც დაწეულ იქნა ზოგიერთ გამაგრებულ პოზიციიდან. ხუთ საათისთვის რაზმი მივიდა მტრის მთავარ-პოზიციასთან, ამასთან გამოირკვა, რომ ეს პოზიცია ეჭირა სამ პოლკს ქვეითა ჯარს და 18 ზარბაზანს. ჩვენი ჯარი თავის პოზიციებზე იდგა და ბრძოლას არ იწყებდა ძლიერს მტერთან. საღამოს ცხრა საათამდე მტერი წინ გამოემართა. 9 საათზე ჩვენმა რაზმმა სრულის წესითა და რიგით საიმაძისკენ დაიწია. ჩვენი ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული. ხუაიჯენსიანიდან იაპონელები წავიდნენ».

**ტოკიო**. («რეიტერის სააგენტო»), 12 ივნისი. ია საზღვაო ბრძოლის შესახებ, რომელიც პორტ-არტურთან მომხდარა, იუწყებიან, რომ ხუთშაბათს პორტ-არტურიდან გამოსულმა რუსეთის ფლოტმა იერიში მიიტანა ადმირალ ტოგოს ესკადრაზე. ადმირალი იუწყება: 10 ივნისს მაცნობეს, რომ რუსეთის ესკადრა პორტ-არტურის ნავთსადგურის შესავალთან არისო. ტოგო მთელის თავის ესკადრით წასულა და შეჰხვედრია რუსის ფლოტს, რომელიც შესდგებოდა 6 ჯავშნიან გემისა, 5 კრეისერის და 14 კონტრ-ნაღმიან გემისაგან. ამ გემებს უთუოდ სამხრეთისკენ უნდოდათ წასვლა. იაპონიის კონტრ-ნაღმიანმა გემებმა იერიში მიიტანეს რუსის ფლოტზე. იაპონელების მხრივ დაზიანდა კონტრ-ნაღმიანი გემი „შირატაკა“; ამასთან მოკლულ იქმნა სამი კაცი; ამდენიც დაიჭრა. მცირედ დაზიანდა იაპონიის სამი სხვა ნაღმიანი გემი.

**შანხაი**. («ჰავასის სააგენტო»). ჩემულპოში შევიდა ტოკიოდან მომავალი სატრანსპორტო გემი «მანჯუმარუ», რომელზედაც არიან სხვა სახელმწიფოთა აგანტები და გაზეთის რეპორტერები. გემი უთუოდ იალუს ჩასართავში მდებარე ნავთსადგურს წავა.

**ირკუტსკი**. ქალაქის საბჭომ დაადგინა მიართვას გრაფ კუთაისოვს 50 წლის სამსახურის შესრულების გამო ადრესი და ქ. ირკუტსკის სურათების ალბომი და საუკეთესო ქუჩას კუთაისოვის სახელი დაარქვას.

**სალონიკი**. რადგან სამი ვილაეტის ბიუჯეტი მეტად გადიდებულა და ჯამაგირის მიუღებლობის გამო ჯარი უკმაყოფილებას აცხადებს, სტამბოლში მოწონებულ იქმნა გენერალ-ინსპექტორის წინადადება იმ რედიფთა ბატალიონების დათხოვნის შესახებ, რომელთა მობილიზაცია გასულ წელს მოახდინეს. გამოცემულ ბრძანებით, თან-და-თან უნდა მოახდინონ რედიფების დათხოვნა.

**მონტევიდეო**. მთავრობას ცნობა მოუვიდა იმის ჯარის გამარჯვების შესახებ. მოკლული და დაჭრილია 600 მეამბოხე.

**ცეტინიე**. არნაუტებმა ნიზამების დახმარებით სროლა აუტეხეს ჩერნოგორელებს, რომელნიც ბალახს სთიბავდნენ მორაჩის მთებში. ჩერნოგორელებმაც სროლა დაიწყეს და, საბედნიეროდ, უნაყოფოდ. საქმის გამწვავების შიში აქვთ. პორტას პროტესტი გამოუცხადეს.

**სოფია**. ოხრიდიდან მოსულ ცნობებით დამტკიცდა, რომ იქ შიმშილობაა. სოფიაში მცხოვრებმა მაკედონელებმა მოწოდებით მიმართეს ხალხს დამშეულთა დახმარების შესახებ.

**რიაზანი**. ერობის საგანგებო სამაზრო კრებამ დაადგინა, თან და თან გააფართოვოს არსებული 75 სკოლა და დააარსოს ახალი 23 სკოლა, რათა შესრულოს სკოლათა საჭირო რიცხვი.

**ჰელსინგფორსი**. ფინლიანდიის საიმპერატორო სენატის დადგენილება 1904 წლის 9 ივნისს: „ფინლიანდიის საიმპერატორო სენატს, რომელიც პირველად იკრიბება თავისის თავმჯდომარის გენერალ-გუბერნატორის გენერალ ადიუტანტის ბობრიკოვის გარდაცვალების შემდეგ, საჭიროდ მიაჩნია ზიზღით მოიხსენიოს ის საზარელი ბოროტ-მოქმედება, რომლის მსგავსი არ მომხდარა ფინლიანდიის წარსულში და რომლის მსხვერპლად შეიქნა გენერალ-გუბერნატორი. ბოროტმოქმედებას ჰკიცხავს ყოველი გონიერი მცხოვრები ჩვენის ქვეყნისა. ამასთანავე სენატს ჰსურს აღუნიშნოს ფინლიანდიის ერს, სამწუხარო შედეგი მოჰყვა ბოროტმოქმედთა და აგრეთვე ზოგიერთ გზაბნეულთა ცდას —ხალხი მთავრობის წინააღმდეგ წააქეზონ. ასეთი აგიტაცია, თუ იგი გაგრძელდა კიდევ, მომავალში დიდ განსაცდელში ჩააგდებს ჩვენს ქვეყანას. ამიტომ სენატი მიჰმართავს ყველა გონიერ კაცს სერიოზულ მოწოდებით—დაე ყველა თავის წრეში ეცადოს და ყოველის ძალ-ღონით ხელი შეუწყოს ქვეყნის დამშვიდებას, რათა დავიმსახუროთ ნდობა, რომლითაც ფინლიანდიის ერი კეთილად სარგებლობდა აგერ ასი წელიწადია; მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა ძლევამოსილ რუსეთის იმპერიასთან მჭიდროდ შეკავშირებულია, იგი რუსეთის მეფეთა ყოვლად-უმოწყალეს მფარველობის მეოხებით განვითარდა როგორც სულიერად, ისე ქონებრივად. სენატმა გადასწყვიტა, დაჰბეჭდოს ეს დადგენილება ოფიციალურს უწყებებში და აცნობოს ეს ჟურნალი მის აღმატებულებას ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის დროებით აღმასრულებელს“. ნამდვილზე ხელი მოაწერეს: ვიცე-თავმჯდომარემ ეგერმეისტერმა ლინდერმა, სენატორებმა- ბემმა, ბერგბომმა, ფალმანმა, ნეოვიუსმა, გენეცმა, ოკერმანმა და ჩილმანმა.

**ცეტინიე**. მთავარმა ნიკოლოზმა სადილი გაუმართა სერბიის სამინისტროს თავ-მჯდომარეს ნენადოვიჩს და დანიელის ორდენი უბოძა.

13 ივნისი.

**ტოკიო**. («ვოლფ. სააგ.»). ოფიციალურად იუწყებიან დაგუშანის არმიიდან, რომ 10 ივნისს რიჟრაჟზე იაპონელთა რაზმმა იერიში მიიტანა უეცრად რუსების კავალერიის ესკადრონზე დაშიცაოს გზაზე, სანდაგოუს ჩრდილოეთით, 10 მილის მანძილზე. იაპონელებმა დაიჭირეს სიმაღლეები სანდაგოუს ჩრდილოეთით, რომლებიდან რუსები უკუ-აქციეს.

**კიზფლიარი**. კარანოგაელებმა შესწირეს ფლოტის გასაძლიერებლად 20 ათას. მანეთი.

**გოლტენაუ**. მეფე ედუარდი მოვიდა გემ «ვიქტორია და ალბერტი» თ. იმპერატორი ვილჰელმი გულწრფელად დაუხვდა მეფეს, მიესალმა ტახტის მემკვიდრესა და პრინცებს და თავის ამალით გაიარა საპატიო დარაჯთა რაზმის წინ. მეფე ედუარდი და იმპერატორი ვილჰელმი დაბრუნდენ ტახტის მემკვიდრესთან და პრინც ჰენრიხთან ერთად ინგლისის სამეფო გემზე, რომელიც ნავთსადგურში შემოვიდა.

**კილი**. ნავთსადგურს რომ მიაღწიეს, მათი უდიდებულესობანი ავიდნენ გემ «ჰოჰენცოლერნ»-ზე, სადაც დედოფალმა მიიღო მეფე ედუარდი. «ჰოჰენცოლერნზე» სადილის დროს იმპერატორმა ვილჰელმმა სადღეგრძელო წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა თავისი უმაღლესი კმაყოფილება იმის გამო, რომ პირველად მიეცა შეძლება მიესალმოს მეფე ედუარდს გერმანიის სამხედრო გემზე. გერმანიის ფლოტი სიხარულით უცქერის თავის საპატიო ადმირალს. ეს ფლოტი მსოფლიო ფლოტებ შორის წარმოადგენს ახალ მოვლენას და მოწოდებულია გერმანიის ვაჭრობისა და გერმანიის სახელმწიფოს დასაცველად. იგი ემსახურება გერმანიის არმიასთან ერთად მშვიდობიანობის დაცვას, რომელსაც უკვე 30 წელიწადზე მეტია, რაც იცავს გერმანია ევროპასთან ერთად. იმპერატორმა მთელი თავისი ძალ-ღონე შემოიკრიბა ამ მიზნის მისაღწევად. იმპერატორმა დალია მეფის სადღეგრძელო. მეფე ედუარდმა გერმანულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა, მადლობა გამოუცხადა იმპერატორს მეგობრულ სიტყვებისათვის და ბრწყინვალე დახვედრისათვის და სთქვა, მოხარული ვარ რომ ვეწვიე იმპერატორსაო: მსურდა პირადად მენახა და ამნაირად განმემტკიცებია ჩვენ შორის გულითადი, მეგობრული კავშირიო. მეფე ედუარდმა მადლობა გამოუცხადა იმპერატორს იმის გამო, რომ იგი სცდილობს დაიცვას მშვიდობიანობა—სთქვა, გულის სიღრმემდის ჩამწვდა იმპერატორის სიტყვები და დარწმუნებული ვარ რომ იმას იგივე მიზანი აქვსო, რომ მუდამ ჟამს ორივე შეერთებული დროშა ფრიალებდეს ერთად არა მარტო ჩვენ სახელმწიფოთა, არამედ მთელი ქვეყნის მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის დასაცველად. ბოლოს მეფემ იმპერატორისა და დედოფლის სადღეგრძელო დალია.

**პეტერბურგი**. 12 ივნისს გარდაიცვალა აკადემიკოსი ნიკოლოზ თევდორესძე დუბროვინი.

**ასტრახანი**. ჩაყარეს საძირკველი დედოფალ მარიამის სახელზე აშენებულ ბავშვთა თავშესაფარისა.

**ტაშკენტი**. სახაზინო ნავთის შადრევანი მაილისაიში ივნისის პირველ კვირას 4 საჟენ სიმაღლეზე ისროდა ნავთს. ახლა შადრევანი დროებით შესწყდა. ახალი რკინის ლიანდაგი არის 591 ვერსის მანძილზე გაყვანილი. სამხრეთის მხარეზე დარჩა ასაშენებელი 200 ვერსი.

**სოფია**. (ოპოზიციის წრეები). სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ინგლისის საელჩო ენერგიულად ითხოვს, სასტიკად გამოიძიეთ, ერივნენ ქურთები ბითლისის ვილაიეტში მომხდარ ძალმომრეობაში თუ არაო. სულთანსა და პორტას უსახელო წერილები მოსდით, ბოლგარელთა და მაკედონიის კუცოვლახთა წინააღმდეგ მიმართული, რომელშიაც სწამებენ შეთქმულებათა გამართვას და სახელმწიფოს ღალატს. პროვინციებში ოსმალ მოხელეთ ებრძანათ, სასტიკად თვალყური ადევნონ ხალხს, გაჩხრიკონ კერძო სახლები და არ დაითხოვონ 80 ბატალიონი, რომლის მობილიზაცია მოხდა გასულ წელს, ამბოხების დროს.

**ტანჟერი**. ამერიკის ესკადრა 13 ივნისს ბეირუთს მიდის.

**პეტერბურგი**. დეპეშა მის უდიდებულესობასთან გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა 13 ივნისას თარიღით: «პორტ-არტურის ესკადრა კონტრ - ადმირალი ვიტგეფტის ბაირაღით 10 ივნისს, დილის რვა საათს, გავიდა ზღვაში, გაიყვანა ექსი ჯავშნიანი გემი, 5 კრეისერი და 10 ნაღმოსანი. როგორც ლიაოტეშენის სანიშნებელ სადგურიდან ყურის მგდებელნი გადმოგვცემენ, ესკადრის გასვლის დროს არა მომხდარა რა. როცა ჩვენი გემები გავიდნენ, ცის იერზე შენიშნეს მტრის გემები, ამათში 3 ჯავშნიანი გემი და 22 ნაღმოსანი. ჩვენმა ესკადრამ იერიში მიიტანა მტერზე. რა შედეგი მოჰყვა, აქნობამდე ცნობა არ მომსვლია».—დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრეს შტაბის სახელზე 12 ივნისის თარიღით: «12 ივნისს დილით მტრის მოწინავე რაზმებმა, რომელსაც ეჭირათ მდინარე ხოს ხეობა, 16 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთად გაიჩჟოუდან, დაიწიეს უკან 10 ვერსზე სამხრეთად, სენუჩენის ახლო. დღე, 11 ივნისს, მტრის ორი როტა და ერთი ესკადრონი მოვიდა სოფელ სიანდანთან, 11 ვერსზე გაიჩჟოუდან, სამხრეთის მხრივ. მტრის მზვერავნი გაჩნდნენ ხუაივაფინის ადგილებში, 25 ვერსზე გაიჩჟოუდან აღმოსავლეთად და 7 ვერსზე ჩრდილო-დასავლეთად უღელტეხილ ჩაპანლინიდან. იაპონელთა მოწინავე რაზმმა აიღო სოფელი ტიმირლგოუ კხანზას გზაზე, 12 ვერსზე დასავლეთად ჩაპანლინიდან. მტრის მზვერავნი არიან კოლდაგოუსა და კადიავაიზას გზებ შუა, უღელტეხილ პანდზიაზეთსა და პანჩანიუს შუა მტერს არა აქვს რა დაჭერილი. სიუიანიდან ხაიჩენისაკენ ცვლილება არ მომხდარა. ფინხუანჩენიდან ხაიჩენისაკენ მიმავალ გზაზე, სარგანგოუს ადგილზე, 25 ვერსზე ჩრდილო-დასავლეთად ფიგხუანჩენიდგან 11 ივნისს ჩვენებს შეტაკება ჰქონდათ მტრის მზვერავებთან, რომელსაც ერთი ჯარის-კაცი მოუკლეს. 11 ივნისს საღამოთი შევნიშნეთ წინ-წამოწევა იაპონელებისა სარგანგოუდან ხაიჩენის გზით ∂ იმათი მოწინავე რზმმა — ორმა როტამ დაიჭირა სოფელი კანგაცუზა, 8 ვერსზე ჩრდილო - დასავლეთად სარგანგოუდან, აგრეთვე მტრის მცირე რაზმმა დაიჭირა ტუნგუპუზა, 8 ვერსზე ჩრდილო-დასავლეთად სელიუჯანიდან».

14 ივნისი.

**ლიაოიანი**. პრინცმა ბურშონელმა, რომელიც იყო მოწმე გულსაღმშფოთებელ საქციელისა იაპონელთა, რომელთაც ხაშტებით დახვრიტეს. სიკვდილის შემდეგ ჩვენი დაჭრილნი, დასტოვა სადგურ ვაფინგოუზე, რომელთაც ჩვენმა ჯარებმა დასცალეს და იაპონელებმა დაიჭირეს, განცხადება იაპონელ გენერლების სახელზე იმის შესახებ, რაც იმან ნახა და გამოსთქვა იმედია, რომ ამას შემდეგ ამისთანა მხეცობას ადგილი აღარ ექნება. განცხადება მსხვილის ასოებით არის დაწერილი სადგურ ვაფანგოუს კედლებზე და ქვეშ მისი უმაღლესობის ხელი აწერია.

**ვილნო**. მოვიდა ეპისკოპოსი როპი, რომელსაც დიდძალი კათოლიკეთა მცხოვრებნი დაუხვდნენ.

**კილი**. მეფის გემი „ვიქტორია და ალბერტი» სადღესასწაულო სადილი იყო გამართული, სადილზე დაესწრნენ იმპერატორი მეუღლით, მემკვიდრე პრინცი და პრინცი ჰენრიხი.

**ლიაოიანი**. («რეიტერის სააგ.»). გენერალ ადიუტანტის კუროპატკინის დიდის ლაშქრის წინ სდგანან ლაშქარნი ოქუსა და კუროკისა, თითო ლაშქარში ექვს-ექვსი დივიზიაა. ისინი სამრად არიან დაწყობილნი და იჭერენ მაგარ ადგილებსა. ლიაოიანის ნახევარ კუნძულზე რაოდენობა იაპონელთა ჯარებისა სამჯერ, მეტია, ვინემ ტურეჩენთან და ვაფანდიანთან. დაახლოვება იმ ჯართა ნაწილებისა, რომელნიც სამრად მზად არიან თან დათან მატულობს. წვიმების დაწყობის დროს მოახლოვება გამოიწვევს უსათუოდ დიდს ბრძოლასა, რომელიც დარჩება შორეულს აღმოსავლეთის ისტორიაში ეპოქად.

**ბლაგოვეშჩენსკი**. ხარბინს გაიგზავნა ხუთი ბარჟა — ლაზარეთი, წითელის ჯვრისა. თან არის გამგებელი ბარონი ბუდბერგი.

**ჩიფა**. («რეიტერის სააგ.»). ჩინელი, რომელიც პორტ-არტურის მიდამოებიდან მოვიდა, იუწყება, პარასკევს განთიადისას იმან ნახა იაპონელთა ორი დიდი გემი

---

რის მოისწავებდა ყველა ეს, თუ არა იმას, რომ რუსეთის დიდი იმპერია ისევ წინა დროის პატარა მოსკოვის სახელმწიფოთ, la Mascovie-ად უნდა გარდაქცეულიყო? რომ ეს არ მომხდარიყო, არ ასრულებულიყო ევროპის წადილი, და რუსეთს ისევ საპატიო ადგილი დაეჭირა სხვა დიდთა სახელმწიფოთა შორის, ძალა და გავლენა მოეპოვა, საჭირო იყო მისი შინაური გაღონიერება, ცხოვრების დაწინაურება, რომელიც შესაძლო იყო შინაურ წეს-წყობილების შეცვლით და საწარმოვო ძალთა განვითარებით; ეს უკანასკნელი კი ითხოვდა ან წარმოების გასაზოგადოებას, ან და კაპიტალიზაციას შინაურ ცხოვრების ინტერესი საგარეო ინტერესს ემსხვერპლა.

მაგრამ კაპიტალისტურ ფორმის წარმოებას უპირატესობა მიეცა სხვა მოსაზრებითაც. წარმოების გასაზოგადოებას შედეგად მოსდევს ის, რომ ყოველ წლის ნაწარმოებს ყველა თანაბრად ინაწილებს; მაშასადამე, ეს ფორმა რომ დამყარებულიყო მთელ რუსეთში, მაშინ ყოველი მისი ნაწილი, — ცენტრის გუბერნიები (სადაც მკვიდრი რუსობა მოსახლეობს) და განაპირა ქვეყნები,—ყველა ერთგვარად უნდა გაღონიერებულიყო ნივთიერად. კაპიტალისტურ წარმოებაში კი მოსახერხებელი იყო საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა შუაგულ გუბერნიებში გაჩენილიყო, განაპირა ქვეყნები კი მის ბაზრად გამხდარიყო, ე. ი. განაპირა ქვეყნებიდან მოდენილი ფული შუაგულში შეგროვილიყო ფაბრიკების და ქარხნების პატრონთა ხელში.

მართლაც-და, ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში საფაბრიკო და საქარხნო წარმოების განვითარება სწრაფად მიდიოდა შუაგულ რუსეთში,—მოსკოვის, ვლადიმერის, იაროსლავის, ტვერის, ნოვგოროდის და სხვ.—რომელსაც გვერდში უდგა სატახტო ქალაქის, პეტერბურგის მრეწველობა. ამ ორ რუსულ რაიონებს მთელს იმპერიაში მოცილედ ჰყავს ერთად-ერთი პოლონეთის წარმოება, საკმაოდ განვითარებული მეზობელ გერმანიის კულტურულ ზედ-გავლენით*).

(შემდეგი იქნება)

*) აი რამდენი საქონელი მომზადებულა მთელ რუსეთის იმპერიაში გასასაღებლად ამ სამ რაიონის ქარხანა. და ფაბრიკებში, 1890 წელი რომ ავიღოთ მაგალითად:

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსკოვის | — | 460 | მილიონ მანეთისა. |
| პეტერბურგის | — | 242 | „ „ |
| პოლონეთის | — | 210 | „ „ |

(Р. Люксембергъ.—Промышлен. развитiе Польши).

და და სამი ნაღმოსანი, რომელიც ეტყობოდა გემთა რიცხვიდან იყვნენ გამოკლებულნი და ადმირალ ტოგოს ფლოტს მიაწებეს თავი.

დროებით რედაქტორი გრ. ყიფშიძე
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

## გამოსადეგნი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

11 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | $37{,}52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $6-7^1/_2\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $91^3/_4$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 87 წვრ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 373 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $293^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 258 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | $87^3/_4$ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

სთხოვს ეტლებისა და სხვა მსუბუქ სამგზავროების პატრონთ მოვიდნენ ქალაქის გამგეობაში ხუთშაბათს, 17 ივნისს, საღამოს 5 საათზედ, ბლიახებით ანუ მეეტლეობის სავალდებულო დადგენილებათა წიგნებით სტაროსტისა და მის კანდიდატის ამოსარჩევად. ამ თანამდებობაზედ მყოფნი სტაროსტა ქაბინი და მისი კანდიდატი რემიზოვი დათხოვნილ იქმნენ ამ თანამდებობიდან. (3—6—2).



ამერიკის
ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.

Акц. О-во „ЭНФИЛЬД“
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.

СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°

„Лилейное
молоко„

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, შაინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| მარაითადა თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დ ზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ცირყებისა ვაგონებისა და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან- სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის ნადეჟდას„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6. ტელეფონი № 433. (50—6.—39)

ძვირადა საჭიროა ოქრო და ბრილიანტი

როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან
მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეძირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ.

იაფი გარნიტური
მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს- რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ
8 მან. 90 კაპ.

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Луврь“. Варшава* $^{32}/_{323}$

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გ მოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)

ქუთაისში
ს. პ. თოფურიას
სამკურნალოში.

რომელიც იმყოფება მთის ჭმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონტრინი“ მ. ვ. ლეპედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და მშვიდებული იყვეთ იყიდეთ, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „ენდოლიანსი“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „ენდოლიანსი“ აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხევა კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „ენდოლიანსი“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„ენდოლიანსი“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.
(5—6—)

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
ისყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—6)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი
ლალაფი
დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.



ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

ეთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—3).